ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 8

ქ. ონი 10. 08. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გობეჯიშვილი.

სხდომას კომისიის 11 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნონა მაისურაძე, გელა მეტრეველი, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდა: ზურაბ ბენდიანიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის განახლების შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის განახლების შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მომხსენებელმა ისაუბრა ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში, ქ. ონის გარდა, საჯარო რეესტრის მიერ განსახორციელებელი პროექტის შესახებ. კერძოდ, გეოგრაფიული ობიექტების დანომვრის თაობაზე, რომლის პარალელურად საკრებულოს შესაბამისმა კომისიამ უნდა დაიწყოს მუშაობა თითეული გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის მინიჭების შესახებ. რაც შეეხება ქ. ონს, გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის მაჩვენებელი საინფორმაციო დაფები საჭიროებს სრულ განახლებას. ქალაქში ასეთი დაახლოებით 2 000 ობიექტია, ხოლო მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაახლოებით 5 000. სასურველია, ონის მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინოს ამ კუთხით არსებული მდგომარეობა და მომავალი წლიდან ეტაპობრივად დაიწყოს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

აზრი გამოთქვეს: ე. მაისურაძემ აღნიშნა, რომ სასურველია, სოფლების ქუჩების სახელდებისას, მოსახლეობას შევთავაზოთ ამა თუ იმ კონკრეტული სოფლის იმ წარმომადგენელთა სია, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის #239 დადგენილებით, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ნ. მაისურაძემ განაცხადა, რომ დროული და აუცილებელია ქალაქში გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის მაჩვენებელი საინფორმაციო დაფების განთავსება.

ნ. გობეჯიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა, დროულად ეცნობოს მერიას ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების აუცილებლობის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ნინო გობეჯიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 10 აგვისტოს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის განახლების შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მიმდინარე წელს, იუსტიცის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაგეგმილი აქვს საქართველოს მასშტაბით დასახლებულ პუნქტებში გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაცია, მათ შორის, ონის მუნიციპალიტეტში.

ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში როგორც სოფლად, ისე ქალაქში 7000-მდე დასანომრი ობიექტია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განსახორციელებელი პროექტის პარალელურად, საკრებულომ უნდა დაიწყოს მუშაობა თითოეული გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის მინიჭების თაობაზე. სასურველია, სოფლებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისას, მოსახლეობას შევთავაზოთ ამა თუ იმ კონკრეტული სოფლის იმ წარმომადგენელთა სია, რომელიც აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ქალაქ ონში სახელდებასა და ნუმერაციას დაქვემდებარებული 2000 ობიექტია, რომელთა უმრავლესობას არ აქვს მისამართის სახელდებისა და ნომრის მაჩვენებელი ნიშანი, რაც დიდ დისკომფორტს უქმნის როგორც მოსახლეობას, ისე სახელმწიფო დაწესებულებას, იურიდიულ პირებს და ნებისმიერი სახის სერვისის მიმწოდებელ სუბიექტებს. შესაბამისად, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, შესაძლებლობის ფარგლებში ეტაპობრივად მოხდეს სახელდებისა და ნუმერაციის მაჩვენებელი საინფორმაციო დაფების განახლება.

ეთხოვოს მერიას, მოამზადოს სრული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისათვის საინფორმაციო დაფების მოსამზადებლად.

ნინო გობეჯიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი